საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1279

24/08/2021

ქ. თბილისი

წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლივადის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის - ბაზალტის (1423400 m^3) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლივადის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის - ბაზალტის (1423400 m^3) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1705-1745 მეტრის სიმაღლეზე, სოფ. ლივადის მიმდებარე ტერიტორიაზე. ობიექტის ფართობი შეადგენს 209580 m^2-ს, ხოლო კოორდინატებია: X – 434542.9319, Y – 4615680.2405; X – 434634.5080, Y – 4615503.7023; X – 434356.8317, Y – 4615335.6241; X – 434259.3697, Y - 4615301.7900; X – 434073.6386, Y – 4615221.9808; X – 433888.7536, Y – 4615197.6165; X – 433696.0611, Y – 4615288.1414; X – 433665.7686, Y – 4615361.372; X – 433969.1883, Y – 4615444.4889; X – 434154.9194, Y – 4615536.4342; X – 434258.2673, Y – 4615562.5467. აღნიშნული ობიექტიდან 95 მეტრში და 315 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი სალიცენზიო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 97 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ტექტონიკური დარაიონების თვალსაზრისით სალიცენზიო ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემას, აჭარა-თრიალეთის ზონის სამხრეთ ქვეზონას, ასპინძა-თბილისის ბლოკს. გეოლოგიური თვალსაზრისით საბადო აგებულია წალკის წყების ზედა პლიოცენურ-შუამეოთხეული ნალექებით, რომელიც ლითოგრაფიულად წარმოდგენილია ბაზალტებით, თიხებით და კონგლომერატებით. მადნიანი სხეული მორფოლოგიური ტიპის მიხედვით ფენობრივია, ხოლო პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.

მორფოლოგიური თვალსაზრისით წიაღითსარგებლობის ობიექტი მდებარეობს მთა-გორიანი რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, ლივადის ქედის ჩრდილო-დასავლური ექსპოზიციის ფერდობსა და თხემურ ნაწილზე. ფერდობის დახრილობა 30°-35°-ია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტზე განხორციელებულია დეტალური დაძიებითი სამუშაოები A, B და C კატეგორიებში. დოკუმენტის თანახმად, საძიებო გამონამუშევრებს შორის მანძილი A კატეგორიისათვის 100 მეტრია, B კატეგორიისთვის - 300 მეტრი, ხოლო C კატეგორიისთვის 200 მეტრი. საძიებო სამუშაოების ფარგლებში გაყვანილია შურფები, თხრილები და ჭაბურღილები, ხოლო

დასასინჯად აღებულია მონოლითები, ბლოკ-მონოლოთები და კერნული სინჯები. აგრეთვე, ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მარაგების გამოთვლა განხორციელდა ვერტიკალური პარალელური ჭრილების მეთოდით. ლივადის ბაზალტის საბადოზე არსებული მარაგები ირიცხება საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე შემდეგი ოდენობით: A კატეგორია - 362900 $მ^3$, B კატეგორია - 582700 $მ^3$, C კატეგორია - 477800 $მ^3$. სალიცენზიო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მარაგი ჯამურად 1423400 $მ^3$-ს შეადგენს. სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტზე თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები ფიქსირებული არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით სალიცენზიო ტერიტორია წარმოდგენილია ნაცრისფერი, წვრილი და საშუალომარცვლოვანი, იშვიათად მსხვილმარცვლოვანი, არათანაბარფორიანი ბაზალტებით და დოლერიტებით. საინჟინრო-გეოლოგური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. არსებული გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება დაგეგმილია ღია კარიერული წესით.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, გრუნტის წყლებზე ზემოქმედება, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება. ამასთან, წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეულ შესაძლო რისკებსა და საფრთხეებთან დაკავშირებით. განცხადებაში არ არის განხილული ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით-წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენების საკითხები. აგრეთვე, არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. დოკუმენტის მიხედვით ობიექტიდან 95 და 315 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ეტაპზე აღნიშნულ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ემიჯნება ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, ხოლო ტერიტორიიდან დაახლოებით 97 მეტრში მდებარეობს საცხოვრებელი სახლი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლასა და შეფასებას.

სკრინინგის განცხადებაში არ არის შეფასებული დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა, რაც საჭიროებს შესწავლას და შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და და გადაგზავნილ იქნა წალკის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა სკრინინგის დოკუმენტაციის შეუსაბამობას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მოთხოვნებთან, დოკუმენტში უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან/სხვა ტიპის ნაგებობებთან და სოფლის სარგებლობაში არსებული მიწების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობას, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ ლიტერატურას, ლიცენზიის გაცემის ვადებსა და პირობებს.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლივადის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ბაზალტის) მოპოვება მასშტაბის, მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული წესით) და მდებარეობის გათვალისწინებით, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლივადის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის ბაზალტის (1423400 $მ^3$) მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წალკის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი